ახალი წელი დაიწყო

დროა, დავეხმაროთ ბავშვებს, გახდნენ აქტიური ციფრული მოქალაქეები

მშობლებს

EDUCATION FOR DEMOCRACY

COUNCIL OF EUROPE

CONSEIL DE L'EUROPE

ჩართულობა ონლაინსივრცეში

წვდომა და ჩართულობა

ციფრული ტექნოლოგიები აახლოვებს ბავშვებს შორეულ მანძილზე მყოფ ოჯახსა და მეგობრებთან მთელი წლის განმავლობაში. თუმცა, მათ შეუძლია დაჰყონ ადამიანები: მიანიჭონ დამატებითი უპირატესობები მათ, ვინც ფლობს და იცის მათი გამოყენება, ხოლო ნაკლებად იღბლიანებს წაართვან არაერთი შესაძლებლობა.

- განსხვავებები ზოგჯერ დაკავშირებულია შეზღუდულ შესაძლებლობებთან.
- სთხოვეთ თქვენს შვილებს შეარჩიონ შეზღუდული შესაძლებლობის ფორმა ონლაინძიებისთვის, იმის დასადგენად, თუ რამდენად გვეხმარება ციფრული ტექნოლოგიები შეზღუდული შესაძლებლობების ფონზე. მაგრამ არის კი ასეთი ინსტრუმენტები ხელმისაწვდომი ყველასთვის?

სწავლა და შემოქმედებითობა

ახალი წლის დასაწყისი მოიაზრებს ახალ წამოწყებებს, შესაბამისად, იდეალური დროა წაახალისოთ ბავშვები ახალი თემების შესასწავლად. ციფრული ტექნოლოგიები მათ ფანტაზიის გამდიდრებაში დაეხმარება. ეძიეთ მათთან ერთად და მიეცით მათ საშუალება წარმოაჩინონ ციფრული უნარები.

- სთხოვეთ ოჯახის წევრებს, მოიძიონ ინფორმაცია ონლაინ, სასურველი ქვეყნისა თუ რეგიონის მიერ ახალი წლის აღნიშვნის ტრადიციის შესახებ
- შეადარეთ შედეგები. ეს გამოაცოცხლებს ვახშმობისას გამართულ დისკუსიებს და შეახსენებს ყველას, რომ განსხვავებების აღმოჩენა საინტერესოა.

მედია- და ინფორმაციული წიგნიერება

მიუხედავად იმისა, რომ საახალწლო დაპირებები ჯერ კიდევ ყველას ახსოვს, სთხოვეთ ბავშვებს, იფიქრონ იმ მედიასაშუალებებზე, რომელთაც ისინი იყენებენ და იმაზე, თუ რა ზეგავლენას ახდენს მედია მათ სურვილებსა და ქმედებებზე.

- შეარჩიეთ თქვენი შვილისთვის საინტერესო ქვეყანა და ინტერნეტის საშუალებით მოიძიეთ ინფორმაცია, თუ როგორ აღინიშნა ახალი წელი იქ.
- ნამდვილად ასახავს კი დღესასწაულები ქვეყანაში ხალხის ცხოვრების წესს? შეახსენეთ ბავშვებს, რომ გარეგნული მხარე შეიძლება ზოგჯერ შეცდომაში შემყვანი იყოს.

კეთილდღეობა ონლაინსივრცეში

ეთიკა და ემპათია

ოჯახები და მეგობრები ხშირად ხვდებიან ერთმანეთს და ჩუქნიან საჩუქრებს წლის ბოლოს/ახალ წელს. ისაუბრეთ საჩუქრების გაცემაზე ბავშვებთან და წაახალისეთ ისინი იფიქრონ საჩუქრების გარდა სიკეთისა და მადლიერების გამოხატვის სხვა გზებზე გარშემომყოფების მიმართ.

- სთხოვეთ თქვენს შვილებს, წარმოიდგინონ თავი სხვის ადგილას, ვისაც არ აქვს საჩუქრის მიღების საშუალება სიღარიბის, ან კულტურული თავისებურებების გამო.
- მზად არიან უწილადონ ერთ-ერთი სათამაშო იმ ბავშვს, რომელსაც ნაკლებად გაუღიმა ბედმა?

ჯანმრთელობა და კეთილდღეობა

ხშირად ბავშვები უფრო მეტ დროს ატარებენ ინტერნეტში, სკოლისგან თავისუფალ დროს, ვიდრე ოდესმე. შეახსენეთ მათ, რომ ფიზიკური აქტივობა ძალიან მნიშვნელოვანია. ის მოიცავს სხეულის მედეგობაზე ფიქრს და ძილის წინ მინიმუმ ერთი საათით ადრე ეკრანის გამოყენების შეზღუდვას.

- მიიღეთ ინფორმირებული გადაწყვეტილებები ონლაინთამაშების შესახებ, რომლებსაც თქვენი შვილები თამაშობენ.
- ეწვიეთ PEGI-ს, “ინფორმაციას პან-ევროპული თამაშების შესახებ” და საძიებო ველში შეიყვანეთ თამაშის სათაური. შედეგად, თითოეული თამაშისთვის, გამოჩნდება მოთამაშეთა მინიმალური რეკომენდებული ასაკი და შინაარსის დესკრიპტორები, რომლებიც სიმბოლურად გამოსახავს თამაშში საროსკო კონტენტის არსს.

ინტერნეტსივრცეში თავის წარმოჩენა და კომუნიკაცია

ახალი წლის დადგომასთან ერთად, მსოფლიოში უამრავი ონლაინშეტყობინება და მისალოცი იგზავნება. ამიტომ, ეს არის შესანიშნავი შესაძლებლობა შევახსენოთ ბავშვებს, რომ მათ მიერ გაგზავნილი შეტყობინებები და ის, რასაც ისინი აკეთებენ როგორც ონლაინ-, ისე ოფლაინსივრცეში, ხელს უწყობს სხვების მიერ მათ აღქმას.

- აჩვენეთ თქვენს შვილებს, თუ როგორ ისარგებლონ ტექნოლოგიებით ეფექტიანად, სათანადოდ და პატივისცემით, აგრეთვე განასხვაონ სხვადასხვა ტიპის აუდიტორია: ოჯახი, მეგობრები, კლასელები, მასწავლებლები...

ონლაინუფლებები

აქტიური მონაწილეობა

ხშირად, საახალწლო დაპირებები გასულ წელზე უკეთესი წლის მოლოდინში მდგომარეობს. აქტიური ჩართულობა არის ერთ-ერთი საშუალება დაგეგმილის მისაღწევად. ბავშვებს ხშირად სჭირდებათ იმის შეხსენება, რომ საერთო მიზნის მისაღწევად ერთობლივი მუშაობით შეაქვთ თავიანთი წვლილი მსოფლიოს გაუმჯობესებაში.

- შეარჩიეთ ტრენდული გლობალური თემა, როგორიცაა, მაგალითად, კლიმატის ცვლილება და მოაწყვეთ ოჯახური დისკუსია, თუ რა გავლენა შეიძლება მან მომავალში იქონიოს ადამიანების ცხოვრებაზე.
- სთხოვეთ თქვენს შვილებს, მოიფიქრონ ერთი ონლაინ- ან ოფლაინაქტივობა, რომელიც ოჯახმა შეგიძლიათ დანერგოთ, რათა ხელი შეუწყოთ დედამიწაზე ცხოვრების გაუმჯობესებას.

უფლებები და მოვალეობები

ახალი წლის კარგ ნოტაზე დასაწყებად, წაახალისეთ ბავშვები გამოარკვიონ, რამდენად უზრუნველყოფენ მათი საყვარელი ონლაინპლატფორმები საკმარის დაცვას და რამდენად ითვალისწინებენ მომხმარებელთა ძირითად უფლებებს.

- შვილებთან ერთად ყურადღებით შეისწავლეთ ის პლატფორმები, რომლებსაც ისინი იყენებენ. რამდენად არიან ბავშვები დაცულები მავნე ინფორმაციაზე წვდომისგან, ან უცხო ადამიანებისგან საზიანო კომენტარების მიღებისგან, ან მათგანვე საკონტაქტო თხოვნების მიღებისგან?

კონფიდენციალურობა და უსაფრთხოება

წლის ბოლოს დღესასწაულების დროს ბავშვები ხშირად იღებენ საჩუქრად ახალ ვიდეოთამაშებს, თამაშის აპლიკაციებს, ონლაინ სათამაშო პლატფორმების საწევროს ან ინტერნეტთან დაკავშირებულ სხვა გასართობებს. ეს შესანიშნავი შესაძლებლობაა მათთან კონფიდენციალურობის თემის განსახილველად და იმ უამრავი საშუალების შესახებ სასაუბროდ, რის გამოც ეს კონფიდენციალურობა შესაძლოა დაირღვეს საჩუქრის მიღების შემდგომ.

- შეამოწმეთ მონაცემთა გაცვლის პირობები თქვენს შვილებთან ერთად, მათ საყვარელ სათამაშო აპლიკაციებსა თუ პლატფორმებზე. არის თუ არა შესაბამისად დაცული კონფიდენციალურობა და პერსონალური მონაცემები?
- გაითვალისწინეთ, რომ ინტერნეტთან დაკავშირებული ბევრი გასართობი ასევე აგროვებს მონაცემებს, ხშირად კონფიდენციალურობის რეგულირებადი პარამეტრების დაცვის, ან ინფორმაციის გარეშე იმის შესახებ, თუ სად ინახება მომხმარებლების მონაცემები.

ონლაინუფლებები

სამომხმარებლო ცნობიერება

ახალი წელს, როგორც წესი, ჩვეულებრივზე მეტ ნივთებს მოვიხმართ და კოვიდ-19-ის პანდემიის პირობებში, ამ ხარჯების დიდი ნაწილის გაღება ონლაინ ხდება. მაქსიმალურად გამოიყენეთ ეს შესაძლებლობა იმისათვის, რომ ისაუბროთ ბავშვებთან იმაზე, თუ როგორ შეიძლება ზედმეტმა კონსიუმერიზმმა გავლენა იქონის გარემოზე, და იმაზე, თუ რა უნდა გაითვალისწინონ მათ ნივთების ონლაინ შერჩევისას.

- შეახსენეთ ბავშვებს ფულის ჭეშმარიტი ფასი: გამოიყენეთ მათთვის ნაცნობი საგნის ღირებულება (სამგზავრო ბილეთი, ნაყინი) და სთხოვეთ მათ შეაფასონ, რამდენი ასეთი ერთეული დასჭირდებათ მათ, რომ იყიდონ მობილური ტელეფონი, პლანშეტი ან ინტერნეტის ყოველთვიური საოჯახო პაკეტი.

დროა, დავეხმაროთ ბავშვებს, გახდნენ აქტიური ციფრული მოქალაქეები

ევროპის საბჭოს სხვა პუბლიკაციები ციფრული მოქალაქეობის სწავლების შესახებ

- Educating for a video game culture – A map for teachers and parents (2021)
- Easy steps to help your children become a Digital Citizen (2020)
- Keeping young citizens busy at home during the Corona crisis (2020)
- Parenting in the digital age – positive parenting strategies for different scenarios (2020)
- Digital Citizenship Education Handbook (2019)
- Bullying: perspectives, practice and insights (2017)
- Internet Literacy Handbook (2017)

დამატებითი ინფორმაცია ხელმისაწვდომია აქ:
www.coe.int/education

ავტორები:
Janice Richardson
Veronica Samara

თარგმნილია:
მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნულმა ცენტრმა

PREMS 042422

KAT

www.coe.int

ევროპის საბჭო არის ადამიანის უფლებათა მოწინავე ორგანიზაცია კონტინენტზე. იგი 47 წევრი სახელმწიფოსაგან შედგება, რომელთა შორისაა ევროკავშირის ყველა წევრი ქვეყანა. ევროპის საბჭოს ყველა წევრმა სახელმწიფომ ხელი მოაწერა ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციას - ხელშეკრულებას, რომლის ძირითად მიზანს ადამიანის უფლებების, დემოკრატიისა და კანონის უზენაესობის დაცვის უზრუნველყოფა წარმოადგენს. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო ზედამხედველობს კონვენციის შესრულებას წევრ სახელმწიფოებში.

COUNCIL OF EUROPE

CONSEIL DE L'EUROPE